ცისფერი ჩიტი

22

გამოცემის 52-ე წელი. (№ 1464). ნოემბერი. 1975. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიანგის“ ეს ნომერი მთლიანად ეძღვნება ქალის საერთაშორისო წელს „ქვეყნის სრული და ყოველმხრივი განვითარება და საყოველთაო მშვიდობის დამყარების საქმე მოითხოვს ყველა დარგში ქალთა მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცების თანაბრად.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დოკუმენტიდან.

ჩვენს ძვირფას ქალებს ვუგალობთ!

ღმერთმა რომც გაგვაძლებინოს,
მაინც ვერ გავძლებთ უქალოდ!
სულს არ ვიშურებთ მისთვის და
სულმოუთქმელად ვუგალობთ.

ქალია ჩვენი სიმაღლე,
ჩვენი ძალა და ლაზათი!
(ზოგისთვის — ცეცხლზე წყალი და
ზოგისთვის — ნავთზე ასანთი!)

წელს (მით უმეტეს!) სუყველა
ჩვენი ნანა და ნონაა!
ხალასი ოქრო თუ არა,
ყველა სულ ოქროს წონაა!

როგორც ყოველთვის, დღეს მათკენ
გულმა გვიბრძანა სწორება...
ქალნო, ქცეულნო დებად და
სიდედრ-პატარძალ-ცოლებად,

ბებიებო და დედებო,
შრომის და ბრძოლის გმირებო,
იდიდოს თქვენმა სახელმა,
გულ-მარჯვენდალოცვილებო!

ლამის გამეფდეთ სუყველგან,
ესღა გვაფიქრებს მარტოდენ:
საქმე ისე არ წავიდეს,
ქალად გაჩენას ვნატრობდეთ!

ხუმრობა საქმე როდია:
წელს ქალის წელიწადია!
რაც ლამაზი და კარგია,
სულ ქალებისთვის გვწადია!

სიტყვა, საქმე და სიმღერა,
ლექსი, ვარსკვლავი, დიდება —
იმდენი მოუხვეჭიათ,
ქალსაც კი გაუკვირდება!

წელს (მით უმეტეს!) სუყველა
ქებათა ქების ღირსია...
მომავალ წელსაც ითხოვენ,
მგონია, საქმე ისეა!

ავთანდილ გურგენიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი

— მამაკაცების მაინც მოგერიდოთ!

მთავარი ადამიანობა!

„რა გადასარევი ქურქი აცვია! ასეთი, სულ ცოტა, ხუთი ეღირება! კიდევ ორი ქურქი აქვს და ორიც — „დუბლიონკა“: ყავისფერი და ნაცრისფერი. ყველაზე უფრო ცისფერი ქურქი უხდება. სულ ცოტა, შვიდი ეღირება! ეს ბეჭედიც პროჟექტორივით ანათებს. სულ ცოტა, ათი ეღირება! გადასარევი ბრილიანტია! ამდენი ბეჭედი ერთად არც მინახავს. თითები აღარ უჩანს. საყურე როგორ თამაშობს სინათლეზე! შეიძლება, თვალები დაუბრმავოს კაცს, დიდხანს თუ უყურა. ეს ქურქი ძალიან უხდება მანქანის ფერს. სულ ახალია, ათასიც არა აქვს გავლილი. ჩავსხდებით და წავალთ აგარაკზე. აგარაკი არ მინახავს, მაგრამ, ამბობენ, გადასარევ ადგილასაა, ზედ ზღვის პირას, თანაც მაგის სახელზეა. ბინაც მაგის სახელზეა. გადასარევადაა გარემონტებული, ძველებური ავეჯია, ძვირფასი. მეტი რა უნდა ადამიანს?! მართალია, ცოტა შავტუხაა, მოგრეხილი ფეხები და გრძელი ცხვირი აქვს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ კარგი ხასიათის გოგოა, თორემ ვის რაში სჭირდება მაგის ან მანქანა, ან ბინა და ან აგარაკები, ააა?..“

ს. ჟივიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ეს ქალი რომ დაგიყენებიათ, ამას ვუყურო, თუ სასწორს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უი, ქა!

კევს იცოხნები კაცი?!
(სიზმარს ვხედავ თუ ცხადს?!)
ულვაშები კი გაგცვივდეს
ე მაგისთანა კაცს!

ლალი მარტაშვილი

ქალური სისუსტე

— გაიგე? ვიოლას ბინა გაუყიდია და სპეკულანტისაგან სამმაგ ფასში ძვირფასი იმპორტული ქურქი შეუძენია!
— მერე, ახლა სად ცხოვრობს?
— იმ ქურქში!

თამაზ ჰეიშვილი

ფილოსოფიზმები

● **წარმოუდგენელია**, რომ ქალმა დღევანდელი სათქმელი ხვალისთვის გადასდოს.

● **თუ** ცოლს ყველაფერი ახსოვს, მაშინ მას ქმრისთვის ცუდი მეხსიერება აქვს.

● **ქალებო**, იცოდეთ: სიჩუმე ხარისხის ნიშანია!

ალ. ეინგორინი

ალო! ალო! ალო!..

— ალო! ალო! ჰო, მე ვარ, ჩემო ცუგრუმელა! შესვენებაზე არ მიშვებს დირექტორი-მეთქი!.. რას ჰქვია „ვაიმე!“ ნუ გეშინია, ჩემო ფისუნია, არ მოგკლავ შიმშილით, ახლავე ერბო-კვერცხს შეგაწვევინებ... აბა, ბევრი არა თქვა. რა უნდა ერბო-კვერცხის შეწვას? ვერ წარმოიდგენ, ისეთი ადვილი რამეა. თანაც ისწავლი... ჰო, კარგი, კარგი, სულ არ გეჭირდება, სულ არ გინდა მაგის სწავლა, ეშმაკმა წამიღოს მეც და ჩემი უფროსიც. დამიგდე ახლა ყური: ყველაფერი რიგზე იქნება! აიღე ღრმა თეფში!.. თეფში სად არის და, თეფშსაშრობზე!.. თეფშსაშრობი სამზარეულო ოთახშია ონკანის თავზე... სამზარეულო ოთახი რომელია და... შემოსასვლელიდან მარჯვენა მხარეს, სანამ აივანზე გახვიდოდე!.. ოო, ზუსტად ის ოთახი, ერთხელ სადილს რომ ვაკეთებდი, შენ რომ შემოხვედი და თვალები რომ დაგიწვა. ჰოდა, თეფშსაშრობიც მანდ არის და ონკანიც. დამშვიდდი ახლა?.. მაპატიე, ბატონო! ვიცი, შენ დამშვიდებული ხარ, მე კი მოვუვლი ჩემს ნერვებს და, საერთოდ, ლაპარაკსაც ვისწავლი... აბა, აიღე ახლა თეფში და მაგიდაზე დადე!.. სამზარეულოს მაგიდაზე!.. მაცივარი იქვეა, სამზარეულოში, მაღალი, ოთხკუთხედი, თეთრი. აწერია ზედაც... კვერცხი? კი, მრგვალია... ნახე ხომ? აბა, შენ იცი! ფრთხილად ამოიღე სამი ცალი და მაგიდაზე დააწყვე!.. იმავე მაგიდაზე, სადაც თეფში დადე!.. დანა სამზარეულოს კარადის მეორე უჯრაში დევს... სამზარეულოს კარადა სად ბრძანდება და, მაცივრის გვერდით დგას. მაცივარზე უფრო მაღალი და განიერია, ოღონდ უფრო ღია, მოყვითალო ფერის... იპოვე არა, დანა? ძალიან კარგი! რაღა დაგრჩენია მეტი, აიღე კვერცხი და ჩატეხე თეფშზე!.. რა იყო, ჩემო ბაჭია? რამ შეგაშინა? რა უნდა კვერცხის გატეხვას? ჰო, კარგი ახლა! რას ჰქვია, არ შემიძლია. დროს ნუ კარგავ! აბა, ჰე!.. ყოჩაღ! ყოჩაღ! ხომ გითხარი, არაფერია საშიში-მეთქი! ახლა აიღე მეორე კვერცხი და იგივე გაიმეორე! რას ჰქვია, „უიმე, მეტი არა?“ რას გეყოფა ერთი კვერცხი? აბა, ჩქარა, ჩქარა! კარგი ახლა, ხომ გატეხე ერთი, მაგრამ ქვეყანა არ დანგრეულა. ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, ნაჭუჭი სანაგვე ყუთში ჩაყარე! ბოდიში, ბატონო! მაპატიე! შევცდი! ეს რა გაკადრე, სანაგვე ყუთი გაკლია ახლა შენ! მაგიდაზე დაყარე დროებით და, როგორც გითხარი, ისე განაგრძე!.. აი, ახლა მართლა კარგი გოგო ხარ! აბა, ჰე, სანამ ცხელ გულზე ხარ, მესამეც მიაყოლე!.. დაისვენე! დაიღლებოდი, აბა. რა?.. დაისვენე? ძალიან კარგი გელოდები!.. ყოჩაღ! მართლა ყოჩაღ! მესამე კვერცხსაც გავარდა ჯანი! შეისვენე, თუ გინდა!.. კარგი, თუ არ გინდა შესვენება, მარილი მოაყარე მაშინ!.. სამარილეში, ჩემო მტრედო! სამარილე კი, გამოაღებ სამზარეულოს კარადას და, მეორე თაროზეა, მარცხენა მხარეს... რამდენი მოაყარო და ნახევარი ჩაის კოვზი!.. კოვზი იქ არის, სადაც დანა იყო. მოაყარე, არა? ახლა ათქვიფე დანით! ათქვეფა როგორ უნდა და, აი, როგორ გითხრა... აიღე დანა და ათქვიფე უბრალოდ!.. ინგლისურად ათქვეფა როგორ იქნება? ახლავე მოვიგონებ! თუ არ ვცდები, თუ მიქს! მიხვდი, არა? ძალიან კარგი! ახლა გაზქურასთან მიდი, ჩართე და აანთე!.. მერე რა მოხდა? დიდი ამბავი! არასოდეს რომ არ აგინთია, გაკრავ ასანთს და მორჩა... რა იყო, ჩემო იმედო, საშიში რომ იყოს, განა გეტყოდი? აბა, ჰე, მიდი, მეც მაგვიანდება, შესვენების საათი იწურება... ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო გვრიტუნია! ახლა ტაფა დაადგი ცეცხლზე!.. ტაფა სად არის და, იქვე, გაზქურაზე დევს... არა, ადამიანო! ის ქვაბია! ტაფა მეორეა, მრგვალი, ფართო, შავი ფერის, ხისტარიანი!.. ნახე, არა? ჰო, ის არის. ტარი ოდნავ მომწვარი აქვს ძირში. როგორც გითხარი დაადგი ცეცხლზე!.. არა, ჩემო ჩიორა! ჯერ რა დროს მორჩენაა საქმის! მთავარი აწი იწყება, კარაქი გამოიტანე მაცივრიდან! მაცივარი ხომ გახსოვს, როგორია და სადა დგას?.. არ გეწყინოს, საყვარელო, გაგეხუმრე! როგორ არ გახსოვს, დებილი როგორა ხარ!.. კეთილი და პატიოსანი, ახლა დანით ცოტა მოაჭერი! მაინც რამდენი და... როგორ გითხრა, წარმოიდგინე შენი ფრანგული ლაქის შუშა, დაახლოებით იმ ზომის... მოაჭერი, არა? ტაფაზე დააგდე! ტაფაც გახურდებოდა ამასობაში... რით და დანის წვერით... რა იყო, ჩემო სიცოცხლევ, რატომ ვარ საძაგელი? მერედა, ტაფის შიშხინმა შეგაშინა ამხელა გოგო? მაგაზე როგორ ბრაზდები?... რატომ, ჩემო ჩიტუნია, რატომ არის გასაბრაზებელი და მეტიც?.. რომ მცოდნოდა, ტაფის შიშხინი ასე შეგაშინებდა, სამსახურს კი არა, ყველაფერს დავივიწყებდი და შენთან გავჩნდებოდი, ჩემო სიცოცხლევ! ერბო-კვერცხს შეგიწვავდი კი არა, ჩიტის რძეს გაგიჩენდი... კარგი, შენი ჭირიმე, დამშვიდდი ახლა!.. კი, ბატონო, მართალი ხარ, წინასწარ უნდა გამეფრთხილებინე, რომ ტაფა აშიშხინდებოდა!.. კი, ბატონო, ვიყო უყურადღებო... კი ბატონო, ვიყო კი არა, მართლა ვარ გულქვა, უყურადღებო, საზიზღარი... კარგი, ბატონო, ნუ წამოხვალ ამ საღამოს ჩემთან ერთად კონცერტზე!.. კარგი, იყოს ეგრე, ნურც ნურაიოდეს, ოღონდ დაწყნარდი ახლა... კარგი, ფსიხი ვარ, დავიკარგები, თვალით არ დაგენახვები... კი, ბატონო, ვარ კრეტინი, დეგენერატი, იდიოტი. დღეიდან არაფერი გაქვს საერთო ჩემთან... დამშვიდდი, შენი ჭირიმე, ძალიან გთხოვ! ალო! ალო! ალო! ტუუ... ტუუ... ტუუ...

ნომადი გართაია

ᲒᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲚᲐᲦᲝᲛᲝ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲕᲔᲠᲘᲙᲝ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ

ᲨᲔᲜᲬᲝ მღერᲝᲗ, ᲨᲔᲜᲬᲝ მღᲔᲠᲘᲡ და
ᲨᲔᲜᲬᲝ იმღᲔᲠᲔᲑᲡ ᲑᲔᲠᲘᲐ მᲒᲝᲡᲐᲜᲝ! —
ᲕᲔᲠᲒᲘᲜᲔ ᲨᲔᲒᲒᲫᲠᲐᲡᲗᲐ და ᲕᲔᲠᲒᲘᲜᲔ
აᲒᲕᲐᲜᲗᲝᲑᲡ,
ᲕᲔᲠᲒᲘᲜᲔ მოᲒᲖᲮᲘᲑᲚᲐᲡᲗᲐ ᲕᲔᲠᲘᲙᲝᲡᲐᲕᲘᲗ!

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ
დᲐᲛᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲕᲘᲜ მᲝᲗᲝᲕᲚᲘᲡ
დᲔᲪᲣᲢᲐᲢᲘᲡ და მᲝᲛᲒᲕᲐᲬᲘᲡ,
ᲬᲘᲜᲓᲒᲐᲖᲔ ᲬᲘᲜᲓᲒᲐ ᲜᲘᲜᲝᲡᲘᲡ?

მᲔᲓᲘᲪᲘᲡ და ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘᲡ
ᲓᲔᲪᲣᲢᲐᲢᲘᲡ და მᲝᲛᲒᲕᲐᲬᲘᲡ ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘ
ᲓᲔᲪᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲒᲕᲐᲬᲘᲡ
ᲬᲘᲜᲓᲒᲐᲖᲔ ᲬᲘᲜᲓᲒᲐ ᲜᲘᲜᲝᲡᲘᲡ?

ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲡ ᲐᲚᲘᲝᲗ ᲡᲐᲕᲡᲘᲚ —
ᲡᲘᲦᲐᲧᲕᲐᲡ ᲕᲘᲦᲐᲧᲕᲐ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲖᲔ!
მᲘᲡ მᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲒᲖᲚᲘ,
მᲠᲔᲕᲚᲡ ᲨᲔᲒᲕᲘᲣᲤᲔ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ —
ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐᲡ ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲐᲚᲘᲡᲐ
და დრამᲐᲢᲣᲠᲒᲘ ᲐᲡᲘᲗᲘᲠᲔᲑᲡ, —
ᲞᲘᲠᲘᲡᲔᲑᲡ რომ აღᲒᲐᲪᲣᲚᲔᲑᲐ
და სიᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲗᲘᲡᲘᲜᲔᲑᲡ!

ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲚᲘᲪᲐᲒ ᲜᲐᲜᲐ დᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ —
ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ და ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲒᲘ!
ის მᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ თᲔᲐᲒᲠᲘ
ᲤᲠᲘᲡᲙᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲐᲮᲐᲒᲘᲐ.
ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲛᲝᲮᲔᲯᲔᲗᲐ
ᲛᲐᲡᲨᲘ მᲔᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲮᲔᲯᲓᲐმ!

ᲡᲔᲡᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲮᲕ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲠᲐᲛᲐᲓ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ
მᲐᲛᲔᲣᲚᲡ, —
რᲐᲘᲪ ᲨᲔᲜᲡ მᲘᲘᲠ დᲐᲗᲣᲚᲘᲚᲘᲐ!
ᲒᲐᲜᲧᲣᲠᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲣᲠᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ და ᲡᲔᲡᲘᲚᲘᲐ!
ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘ თᲐᲛᲐᲨᲘ
ᲑᲔᲕᲠ ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲚᲘᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲮᲐᲠᲑᲔᲑᲘᲐ!..
ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ, მᲐᲠᲗᲚᲐᲪ
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲠ!

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲐᲚᲬᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ გმᲘᲠᲗ და გᲘᲜᲘᲠᲒᲕᲘᲜᲔ,
ᲡᲣᲚ მᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ მᲬᲕᲔᲚᲐᲕᲐ, —
ᲠᲫᲔ, ᲧᲕᲔᲚᲘ, ᲔᲠᲑᲝ, ᲙᲐᲠᲐᲫᲘ, —
ᲨᲔᲜ ᲨᲔᲛᲐᲧᲕᲐᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲝ!

ᲜᲝᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐᲡ

ᲐᲠ მᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲯᲔᲠ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ
ᲨᲔᲕᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ:
ᲜᲐᲜᲐ „ᲑᲐᲚᲔᲚᲨᲘᲩᲘᲙᲝᲑᲡ“ ᲜᲝᲜᲐᲡ,
ᲜᲝᲜᲐ „ᲑᲐᲚᲔᲚᲨᲘᲩᲘᲙᲝᲑᲡ“ ᲜᲐᲜᲐᲡ!

ᲜᲐᲖᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

ᲝᲥᲠᲝᲠᲝᲞᲝᲔᲓᲐᲓ გᲕᲘᲪᲘᲜᲘᲮᲐᲠ,
გᲕᲐᲒᲚᲑᲝᲑ, გᲒᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲗ ᲘᲛᲘᲓᲔᲓᲘᲡ!..
შᲔᲜ ᲐᲜᲘ ᲥᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲮᲐᲠ,
მᲔ ᲔᲠᲗᲘ გᲐმᲘᲜᲘმᲔᲪᲘ!

ᲡᲕᲔᲗᲚᲐᲜᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გმᲘᲠᲗ ᲮᲐᲠ, დᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘ ᲮᲐᲠ,
ᲩᲐᲘᲡ ᲕᲐᲠᲗ ᲮᲐᲠ, ᲩᲐᲘᲡ ᲮᲐᲠ!
დᲐᲒᲚᲔᲠᲒᲘᲜᲐᲕᲗ! — ᲦᲕᲘᲜᲘᲡ მᲐᲒᲘᲠᲐᲠᲐᲓ,
ᲧᲐᲜᲬᲣᲑᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲩᲐᲕᲘᲡᲮᲐმᲝᲗ!

ᲔᲗᲘᲔᲠ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲐᲡ

როცა დაᲖᲒᲐᲡᲗᲐᲜ იდექი,
შᲔᲜᲖᲔ მღᲔᲠᲝᲠᲝᲗᲜᲔᲜ რᲔᲞᲠᲘᲜᲒᲘᲜ:
„ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ და ᲔᲗᲘᲠᲘ
ᲦმᲠᲗᲘმᲐ შᲔᲐᲧᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲤᲔᲠᲘ!“

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲕᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ

ᲪᲘᲪᲜᲐᲖᲔ ᲘᲡᲘ თᲐᲛᲐᲨᲝᲗ, —
ᲕᲐᲠᲘᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ!..
ᲐᲚᲐᲑᲐᲗ, ᲡᲣᲚ შᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲠᲝᲚᲔᲑᲘ
ᲒᲐᲜᲘᲮᲝᲗᲥᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲕᲐᲨᲚᲘᲡ!
რᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲬᲧᲔᲗ შᲔᲜᲘ ᲭᲘᲝᲗᲘ,
შᲔᲜᲘᲡ ᲯᲣᲚᲘᲔᲗᲐ, მᲔᲓᲘᲙᲝ —
ᲭᲘᲝᲗᲐᲜᲐᲓ—ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝ,
ᲒᲣᲚᲘᲡ წᲐრმᲐᲪᲘᲗ ᲑᲔᲑᲘᲙᲝ!..

ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲭᲘᲐᲣᲠᲔᲚᲘ

შᲔᲒᲮᲕᲓᲐ კᲘᲜᲝ და თᲔᲐᲒᲠᲘ,
ᲕᲘᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲡ—
ᲡᲮᲘᲕᲝᲡᲐᲜᲡ—
და დᲔᲓᲐმ, დიდმა ᲕᲐᲠᲘᲙᲝმ,
ᲘᲕᲔᲓᲘᲗᲘ გᲐდᲝმᲐᲒᲘᲚᲝᲪᲐ!..
რᲐᲪ კᲘ დიდᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲘᲐ,
მᲘᲜᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ შᲔᲜ მᲝᲙᲠᲘᲤᲝᲗ,—
ᲡᲣᲚᲘᲗ, ᲡᲐᲮᲘᲗ და თამᲐᲨᲘᲗ
ᲐᲠᲘᲡᲒᲝᲙᲠᲐᲒᲝ სᲝᲤᲘᲙᲝ!

ᲜᲐᲜᲘ ᲒᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ

როცა ᲕᲣᲚᲛᲘᲡ უᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲡ
და დიდᲔᲑᲣᲚ ძᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲜᲐᲜᲘᲡ, —
გᲣᲚᲘ იᲤᲔᲜᲡ ᲨᲔᲘᲪᲘᲡ ᲐᲚᲐᲠᲘᲡ,
ᲡᲣᲚᲡ უᲜᲘᲓᲔᲑᲐ მᲨᲘᲡ ᲮᲜᲔᲓᲐᲠᲘ!

ᲮᲛᲘᲗ — მᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲐᲪ
შᲔᲒᲐᲓᲐᲠᲐᲗ ᲰᲛᲔᲠᲘᲝᲡᲘᲡ, —
შᲔᲜ, —ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗ ᲔᲡᲒᲠᲐᲓᲘᲡᲐ,
სᲘᲠᲘᲜᲔᲜᲬᲝ „ᲝᲠᲔᲠᲐᲡᲘ“!

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲐᲮᲚᲔᲚᲘᲐᲜᲡ

ᲤᲔᲠᲗᲐᲛᲗᲝᲗᲒᲐᲠ ᲤᲣᲜᲯᲒᲚᲘ ᲕᲣᲙᲝᲪᲜᲔ
დიდ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲐᲮᲚᲔᲚᲘᲐᲜᲡ, —
ᲭᲐᲚᲡ,—ᲮᲐᲒᲘᲗᲘᲗ ᲬᲘᲜᲓᲐ მᲮᲐᲒᲐᲠᲡ,—
ᲕᲘᲜᲪ ᲦმᲠᲗᲘᲡᲙᲔᲜ გᲐმᲮᲔᲓᲐ!

ᲦᲕᲗᲐᲒᲝᲠᲘᲕᲠ ᲮᲚᲔᲜᲕᲐᲜᲝ,
ᲝᲥᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲔ დᲐᲒᲚᲔᲚᲘᲗᲡ!
ᲘᲤᲐᲠᲐᲕᲓᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
მᲐᲒ ᲨᲔᲜᲡ ᲑᲘᲜᲐ-ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲡ!

ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲫᲐᲫᲔᲡ

ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲛᲐ მᲐᲘᲡᲛᲐ
ᲩᲐᲒᲘᲐᲠ-ᲩᲐᲒᲘᲒᲠᲘᲐᲚᲡ!..
მე შᲔᲜი ᲚᲔᲥᲘᲡᲘᲗ ᲗᲕᲘᲗᲠᲝᲕᲓᲘ
და არა გᲐმᲘᲒᲘᲐ რᲐ!..
ᲘᲡᲔ დᲐმᲐᲠᲘᲠ უᲫᲕᲔᲓᲐᲕ
იმ ᲚᲔᲥᲘᲡᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ფᲘᲐᲚᲐმ, —
ᲐᲡᲘᲡ ᲩᲐᲕᲚᲐᲡ ᲕᲔᲠ გᲐᲕᲘᲒᲔᲑ,
ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲡ კᲘ არა!..

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲙᲐᲮᲘᲫᲔ

ᲚᲔᲥᲘᲡᲘᲡ კᲕᲔᲡᲘᲗ და აᲑᲔᲓᲘᲗ
ᲪᲘᲪᲑᲚᲝᲑ და ᲪᲘᲪᲑᲚᲐᲔ ᲘᲜᲝᲗᲔᲑᲘ!
შᲔᲜ ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲭᲐᲚᲘ ᲮᲐᲠ,
გᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲕᲐᲭᲣᲠᲘ ᲠᲘᲗᲛᲔᲑᲘ!
ᲔᲓᲔᲛ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲗᲘᲚᲝ,
ᲩᲕᲔᲜᲘ მᲔᲓᲔᲐ კᲐᲮᲘᲫᲔ, —
ᲑᲔᲕᲠᲘᲡ უᲜᲓᲐ შᲔᲜᲘ ნᲐᲜᲐᲡ და
გᲐᲗᲮᲝᲗ, დᲐᲙᲬᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲮᲡᲐᲜᲘ ᲓᲔᲦ!

ნᲐᲮ. Გ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲪᲘᲚ-ᲥᲐᲠᲘᲡ ᲩᲮᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲔᲛᲝᲜᲐᲝ.

— ᲥᲐᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ მᲐᲘᲪᲔ ᲓᲐᲣᲗᲘᲛᲐᲗ ᲙᲓᲔᲘᲚᲘ ᲣᲛ მᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲡ!
— მᲔᲠᲔ, ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲘᲜᲓᲐ?

ᲔᲗᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲔᲮᲐᲠᲐᲫᲔ-ᲯᲚᲐᲛᲐᲫᲔ

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲫᲨᲘ

ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ, ᲮᲔᲚᲓᲐᲢᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ,
შᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲕᲘᲡᲢᲣᲛᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ,
გᲐმᲝᲕᲐᲧᲝᲚᲣ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲡ
ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲛᲐᲕᲐ და ᲑᲐᲠᲐᲥᲐ:

ᲦᲕᲘᲜᲝ, ᲐᲠᲐᲧᲝ, ᲩᲣᲠᲩᲘᲚᲔᲡ,
ᲕᲐᲠᲘᲔᲑᲘ და ᲑᲐᲢᲥᲜᲔᲑᲘ...
ᲕᲔᲪᲐᲓᲔ, ᲐᲠ გᲐმᲝმᲘᲡᲦᲚᲝᲓᲐ
ᲠᲐᲘᲛᲔ ᲩᲔᲓᲛᲘᲢ-ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ.

ᲕᲗᲥᲕᲘ: „ᲓᲔᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ
გᲐᲘᲜᲐᲬᲚᲝᲜ ᲛᲫᲣᲠᲐᲓ!“
ᲔᲠᲗᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲚᲔᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ მᲘᲕᲔᲦ,
მᲔᲝᲠᲔ ᲓᲐმᲔᲛᲓᲣᲠᲐ და...

მᲔᲡᲐᲛᲔ ტᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲓᲐᲜ
საᲣᲙᲘᲗᲮᲣᲠᲘᲗᲘᲗ ᲐმᲐᲕᲡᲝ:
„Ა, ᲜᲐᲮᲐᲗᲝᲗ გᲐᲬᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ
ᲕᲘᲜ ᲣᲤᲝᲠᲛ დᲐᲒᲘᲤᲐᲠᲐᲕᲡᲝ!..“

ᲔᲠᲗ რᲐᲓᲐᲚᲡ, ᲭᲘᲗᲐ რომ დᲐᲕᲣᲬᲧᲔ,
მᲔᲝᲠᲔ ᲑᲝᲚᲛᲘᲗ გᲐᲮᲚᲔᲚᲓᲐ!..
მᲔᲡᲐᲛᲔ, ᲜᲘᲬᲜᲐᲓ ᲬᲧᲜᲚᲘᲡᲐ,
სᲐმ ᲦᲠᲔᲡ ᲩᲔᲓᲐᲪ ᲐᲠ შᲐმᲮᲔᲓᲐ.

ᲔᲠᲗᲘ რომ ᲞᲐᲠᲬᲘ მᲒᲖᲐᲕᲜᲘᲓᲐ,
ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐ გᲐმᲮᲐᲓᲔᲓᲐ მᲘᲠᲫᲔᲕᲔᲓ...
ᲐᲕᲪᲘᲪᲔ შᲐმᲝᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲡ და
ᲡᲐᲮᲚᲘ სᲐმ ᲡᲐᲐᲗᲡ ᲕᲘᲫᲘᲑᲔ!

ᲓᲐᲓᲐ ᲓᲠᲝ ᲩᲘᲛᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐ...
შᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲘᲢᲘᲥᲢᲘᲐᲜᲘ:
„ᲛᲝმᲐᲒᲔᲑᲜᲔᲗ, ᲑᲔᲑᲘᲐᲜ.
ᲙᲐᲚᲐᲗᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ!“

„ᲙᲐᲚᲐᲗᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ?“ —
და ᲑᲐᲚᲛᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ დᲐᲮᲐᲠᲐ,
„ᲘᲪᲘ, ᲑᲔᲑᲘᲐᲜ? დᲔᲓᲐᲙᲘᲗ
ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔ ᲧᲣᲗᲣᲨᲘ ᲩᲐᲧᲐᲠᲐ!“

ᲐᲡᲔ დᲐᲫᲠᲣᲜᲓᲐ სᲝᲤᲚᲔᲚᲨᲘ
ᲮᲔᲚᲓᲐᲪᲚᲘᲚᲘ და დᲐᲚᲚᲘᲚᲘ...
დᲦᲔᲡᲐᲪ სᲐმ შᲕᲘᲚᲝᲜᲐᲨ ᲡᲢᲣმᲠᲝᲑᲐ,
გᲣᲚᲘ მᲐᲖᲘᲡ სᲐმი დᲐᲪᲘᲕᲘᲗ.



— მᲘᲜᲓᲝᲛᲘᲚᲝᲗᲐ რომ ᲥᲛᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ, ᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ,
მᲐᲒᲠᲐᲛ რᲝᲛᲚᲘᲐ ᲗᲘᲗᲕᲔᲜᲘᲗ ᲥᲛᲐᲠᲘ?!.

— მᲔᲫᲔᲑ ᲬᲣᲚᲐᲠ ᲓᲐᲚᲗᲘ! ᲡᲐᲭᲘᲡᲗᲐᲜ ᲬᲘᲜᲐᲠ!.

ᲛᲖᲔᲥᲐᲚᲐ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ძᲕᲔ და ᲐᲡᲣᲚᲣ,
ᲚᲔᲥᲘᲡᲔᲑᲘ მოᲒᲘძᲕᲔᲜᲘ ᲐმᲝᲡᲐ,
ᲒᲠᲐმᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ ფᲠᲘᲐᲝᲔᲑᲘ
თუ ᲩᲐმᲑᲐᲠᲔᲑᲘ გᲐმᲘᲪᲔᲓᲐᲡ!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

შᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ შᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ
მᲐᲫᲘᲗ, მᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲡ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ:
ᲔᲠᲗ ᲐᲗᲘᲐᲜᲨᲘ ᲐმᲓᲔᲜᲘ
ᲘᲡᲐᲠᲘ რᲝᲒᲝᲠ ᲔᲒᲔᲕᲐ?

ᲘᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

გმᲘᲠᲗ და ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲝ,
ᲡᲘᲝᲤᲚᲘᲡ თᲐᲕᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ, —
გᲔმᲘᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲬᲕᲘᲠᲐᲓ,
თუ ᲐდᲒᲘᲚᲘ შᲔმᲝმᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲘ!

ᲔᲚᲘᲡᲝ ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲔ

ᲮᲐᲠ ᲠᲘᲐᲜᲘᲡᲗᲐᲜ-ᲰᲝᲔᲢᲐ
და ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲯᲝ ᲔᲠᲘᲡᲗ!
ᲔᲚᲒᲐᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ
მᲗᲔᲚ მᲡᲝᲤᲚᲘᲝᲜᲘ, ᲔᲚᲘᲡᲝ!

820
2.XII 75

ნახ. მ. აბაშიძისა

— ქალი, გიძია უფლებგგით გამითანასწორდა კი არა, თავზე მაზის!

— ჩემი წელიაო, რომ გაიძახი, სადა გაქვს ქალო, შენ წელი?

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა

უსიტყვოდ

ყველამ თავის ჭკუას დააბრალოს!

კვირას, სისხამ დილით, როცა ჯერ მეეზოვეებსაც ვერ დაუთმიათ თავიანთი თბილი ლოგინი, ვდგავარ მარტოდმარტო ავტობუსის გაჩერებაზე. აქა-იქ, კანტიკუნტად თუ ჩამოიქროლებს „ჟიგული". ალბათ, ახალი ნაყიდია და პატრონებს გული არ უთმენთ, გააქროლონ ქალაქში.

— ავტობუსს ელოდებით? — მეკითხება ვიღაც ძალად დაბოხებული, „ხავერდოვანი" ბარიტონით.

...გახეხილი ჯინსები, უღმერთო ვარჯიშისაგან დაბერილი კუნთები, წარბებამდე ჩამოჩეჩილი თმები...

მაინც რა ტუტუცები არიან ეს მამაკაცები!

ამხედ-დამხედე, შე დალოცვილი-შვილო!.. ავტობუსის გაჩერებაზე ვდგავარ, ხელში ვეებერთელა ჭრელი ჩანთა მიკავია, მეორე მხარეზე საფულე მაქვს გადაკიდებული... მაგრამ რას იზამ, უცნობებს, საერთოდ, უზრდელურად არ ვექცევი. ცივად მივუგე:

— დიახ!

ახლა კი ინება „ახედ-დახედვა" და საკმაოდ, მე ვიტყოდი, უტიფრად.

— სად მიბრძანდებით ამ დილაადრიანად?

არა, ეს არც შერლოკ ჰოლმსია და არც კომისარი მეგრე! ისე, კარგი იქნებოდა, მეპასუხა: თეატრში პრემიერაზე ან რაიმე ამის მსგავსი, მაგრამ არ ღირს.

წეღან თუ ცივად მივუგე, ახლა გაყინული ხმით ვუპასუხე:

— ბაზარში!

მე მგონი, ჩემს ადგილას, ახლა მოლაპარაკე მაცივარი იდგა.

— რა საოცარი დამთხვევაა... მეც ბაზარში მივდივარ!

აჰა, დამიწყო ამან ახლა ბაზარი! ესღა მაკლდა ამ გახეთქილ გულზე!

როგორც იქნა, ავტობუსი მოვიდა. რაინდი გაიქაჩა და, სანამ საფულეს გავხსნიდი, ორი ბილეთი აიღო.

— თქვენთვის აღებულია! — გახარებული ხმით მომაძახა.

მხრები ავიჩეჩე. აიღო და აიღოს! რა ვქნა ახლა მე!

იგი უკანა სავარძელზე დაბრძანდა. გვერდით, ჯერჯერობით, ვერ გაბედა. მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ალბათ, შემომატებული მგზავრების მოერიდა.

ბაზართან ხალხში შევერიე და აკვიატებული ტიპიც სადღაც დამეკარგა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი ვეებერთელა გატენილი ჩანთით ისევ ავტობუსის გაჩერებისაკენ გავემართე... ღამის ჩამომვარდეს მხარი!

გვერდიდან ისევ ის „ხავერდოვანი" ბარიტონი მესმის:

— მე მოგეხმარებით!

ხელში ისეთი სასიამოვნო სიმსუბუქე ვიგრძენი, რომ უარის თქმა ვეღარ მოვახერხე.

ხვნეშა-ხვნეშით მიათრია ჩემი გულივერის ჩანთა გაჩერებასთან.

— ახლა სად მიბრძანდებით?

ხომ გეუბნებით, გიჟები არიან ეს კაცები! ღიმილი ვეღარ დავფარე და ყინულგალღობილი ხმით მივუგე:

— სახლში!

— იქნებ, ჯერ ადრეა...

— მე ადრე მიყვარს სახლში წასვლა! — პირზე სიტყვა შევაცივე მას.

ავტობუსში ისევ ფათიფუთით აიღო ორი ბილეთი.

მე მგონი, ახლა მე უნდა ამეღო ბილეთები, მაგრამ ჭირივით მძულს ეს გაქაჩვა-გამოქაჩვა.

— მე ავიღებ!

— არა, მე ავიღებ!

— როგორ გეკადრებათ... — და ა. შ.

მოკლედ, ბილეთები აიღო და ჩემს გაჩერებამდე ფეხზე ვიდექით. ახლა ავტობუსი გატენილი იყო. ის საწყალი, ჩემი ჩანთის წყალობით, ჭირის ოფლში იწურებოდა.

სახლში ლიფტი არ მუშაობდა და ჩემმა თაყვანისმცემელმა მთლად მოიქაჩლა თავი.

როგორც იქნა, ავაღწიეთ მეშვიდე სართულს. გახეხილი ჯინსები ნამდვილად კაცად აღარ ვარგოდა.

ზარი დავრეკე. კარი ზაზამ გამიღო. ხელში ელექტროსაპარსი უჭირავს და ამასაც გახეხილი ჯინსები აცვია.

— ვინ არის ეს ტიპი? — დაიბღვირა იგი.

— კეთილმომსახურების აგენტია. — ვუპასუხე მე.

— ჰოდა, მიეცი მაგ მათხოვარს მანეთი, თორემ დავუშვი მეშვიდე სართულიდან!..

მე ჩემს ოყლაყს მივუბრუნდი:

— გაიცანით, ეს ჩემი ქმარია!

იგი თავისით დაეშვა კიბეზე...

მურზაყან ცოლიანი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— კი! სახლს ალაგებ, სარეცხს რეცხავ, სადილს ამზადებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დედაჩემი კორტებზე არ ატარო!

ნახ. გ. ლომიძისა



„თხა და გიგოს“ თანამედროვე ვარიანტი

ნახ. ზ. ფოჩრხიძისა

ჩაგარდნენ.

ეს ქალი ოჯახია!

ამ ამბავს, ცნობილს ყველასთვის,
ვერ ვამბობ ღელვის გარეშე:
აკაკი, დიდი აკაკი
მეოთხე შვილია და-ძმებში.

ილია არის მესამე,
ვაჟა-ფშაველაც — მესამე, —
ბუნების ბრძენი მინდია,
მარგალიტების მთესავი.

ფალიაშვილიც — მესამე, —
მეუფე ღვთიურ ჰანგების,
შიო მღვიმელი — მეათე, —
ბავშვთა გულების გამგები.

დღეს გაფიქრებაც კი მზარავს,
გულზე ხანძარი შედება, —
დიდ ერისკაცთა დედები,
მარად უკვდავი დედები,

რომ ყოფილიყვნენ ზოგსავით
თითო შვილს მოიმედენი,
ვერ იბრწყინებდა ჩვენი ცა
ასეთი ბრწყინვით, დიდებით,

აკვნის ბაღანაც მიხვდება,
ახლა ჩვენ რანი ვიქნებით...
დღეს კი რას ფიქრობთ, ქალებო —
ეთერ, თინიკო, ლამარა!..

ერთს რომ იყოლებთ კინკილას
და რჩებით იმის ამარა,
ზედმეტი ზრუნვით, ამბორით
ისიც გეზრდებათ ავარა!..

თქვენი ჭირიმე, გამარჯვდით!
გაფხიზლდით, თქვენი კვნესამე!
ერთს მოაყოლეთ მეორე,
მეორეს კიდევ — მესამე.

მერმე — მეოთხე, მეხუთე! —
დღეს თქვენი ვალი ეს არის! —
შუქი მოჰფინეთ ოჯახებს
ახლა ივდაულეველ მზესავით!

ნოდარ შამანაძე

ნახ. მარინა ლომიძისა

უსიტყვოდ

ნახატი თემების ავტორები: ლია ასათიანი, გურამ თაყაძე, მარინე ლომაძე, ნიკოლოზ იოხვიძე, გურამ ბაბაშიძე, ნოდარ მაღლაფონია, ტარუ ბერეშვილი, ნოდარ ქსოვრელი, სიმონ ჯიფერიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაკაბაძე, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნოზნიანიძე, ვ. ფარცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სტერეოს და ოფსეტის ფურნალი „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი ვ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის საგამომცემლობა, ⊙ გადაცა ასაწყობად 27/X 75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XI 75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნახევარი ფურცელი 1. საერთაშორისო-საბაჭოთა საგამომცემლო ობიერი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ტაბეჭდილი, ლენინის ს. 14. ⊙ შეკვ. 3923. ᲣᲪ 02082 ᲤᲘᲜ. 135.070. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82. რედაქციაში შემოსული მასალები აგტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
ზურაბ გეგეჭკორი

7-1975
75-820
ეროვნული ბიბლიოთეკა
Индекс 76137

— ბედნიერები ვიქნებით, არა, გრეტა?
— მე ჰილდა მქვია!

ლასლო ტოგი

ეკონომიის ხარჯზე

— მითხარით, მეშტერ, მართალია?

— რა გაინტერესებთ?

— ის, რომ თქვენ ყოველთვიურად იღებთ ხუთი ათას ფორინტს ლიტერატურული ცენტრის ფინანსური განყოფილებიდან...

— ჰოო, ეს მართალია.

— და ამ ფულს თქვენ მხოლოდ იმიტომ გაძლევენ, რომ არ წეროთ?

— სწორედ იმიტომ. თქვენ რა, გიკვირთ?

— საოცარია!

— იცით, ჩემო კარგო, მე დიდებული წარსული 'და საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი მაქვს... რასაც ვწერ, დაუბეჭდავი არა მრჩება, გამოქვეყნებას ყოველთვის ვახერხებ. ოცდახუთი წლის განმავლობაში ორმოცი წიგნი მაქვს გამოქვეყნებული.

— ოჰო!

— დიახ! ასე იყო ყოველთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ წლებში, ჩემი წიგნები, რატომღაც, აღარ იყიდება... ღმერთმა იცის, რატომ. სწორედ ამის გამო ლიტერატურული ცენტრის გენერალურ დირექტორს — გუსტავ კაპორნაკის — აზრად მოუვიდა, ხუთი ათასი ფორინტი გადამიხადოს ყოველთვიურად, ოღონდ მე არ ვწერო. თითქმის ასევე ვიღებდი თითოეულ წიგნში, მაგრამ სახელმწიფოს ეს უფრო იაფი და უჯდება. ახლა შეუძლიათ დაზოგონ ქაღალდი, სტამბის ხარჯები და სხვა. მე უკვე ვიანგარიშე: სუფთა მოგება წელიწადში მილიონის მეოთხედს შეადგენს... და გადავწყვიტე, სასამართლოში ვიჩივლო ამის გამო.

— რატომ?! მეტი რაღა გინდა?!

— როგორ თუ რა?! კანონით ამ მეოთხედი მილიონიდან მეცამეტე ხელფასი მეკუთვნის, ჭკვიანი კაცი განა ამას დაკარგავს?

უნგრულიდან თარგმნა
ლილი მაისურაძემ



ნახ. გარბარა ჰენინგერისა

ლაპარაკი ჯანმრთელობაა!

ოჰაიოს შტატის (აშშ) ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი უილიამსი ამტკიცებს, რომ ლაპარაკი — ეს ჯანმრთელობის ერთ-ერთი საწინდარია. პროფესორის აზრით, უენო, სიტყვაძუნწი ადამიანები უფრო იოლად ავადდებიან, განიცდიან სხვადასხვა სტრესებს, არ ატარებენ სრულფასოვან ცხოვრებას და, საერთოდ, ასაკთან შედარებით, ადრე ბერდებიან.

„ახლა კი სრულიად გასაგებია, თუ რატომ ცოცხლობენ ქალები მამაკაცებზე დიდხანს“. — აღნიშნავს ამის თაობაზე პოლონეური ჟურნალი „დოოკოლა სვიატა“.